



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კეკელიძე ვლადიმერ დიმიტრის ძე

კეკელიძე ვლადიმერ დიმიტრის ძე [დ. 21. X. 1947, რიგა (ლატვია)], ფიზიკოსი. ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (2000). დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტი (1970). 1970-90 მუშაობდა თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1990-2007 იყო ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებულ ინ-ტში (ბგგი, დუბნა, რუსეთი) ნაწილაკთა ფიზიკის ლაბორატორიის სექტორის ხელმძღვანელი, შემდეგ – დირექტორი, 2007-08 – მაღალი ენერგიების ლაბორატორიის დირექტორი; 2009-იდან მაღალი ენერგიების ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორია. მონაწილეობდა და ხელმძღვანელობდა მრავალ საერთაშ. ექსპერიმენტს. კვლევის ძირითადი მიმართულებაა მაღალი ენერგიების ფიზიკა და ელემენტარული ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკა. შესრულებული აქვს უნიკალური სიზუსტის გაზომვები, რ-ებმაც დაადასტურა ს ტ ა ნ დ ა რ ტ უ ლ ი მ ო დ ე ლ ი ს სამართლიანობა. ხელმძღვანელობს ბგგი-ის საერთაშ. პროექტს NICA, რ-ის მიზანია ცხელი და ბემკვრივი ჰადრონული მატერიის თვისებების შესწავლა მისი ფაზური გადასვლების არეში. მიღებული აქვს საქართვე. სახელმწ. პრემია (1986) მეცნიერებასა და ტექნიკაში, ბგგის 10 სამეცნ. პრემია და სამთავრობო ჯილდოები.

თბზ.: Observation and study of a narrow state in a $\Sigma-(1,385)K^+$ system (თანაავტ.), «Zeitschrift für Physik», C Particles and Fields, 25(3), 1984; NICA at JINR: New prospects for exploration of quark-gluon matter (Tanaavt.), «Physics of Atomic Nuclei», 75(5), 2012; Three stages of the NICA accelerator complex, «The European Physical Journal», A, 52 (211), 2016 (თანაავტ.).
